

ციკლით ცვლისა და ე.წ. პოლიტიკური მომგებიანობის, მიზანშეწონილობის მოტივაციით არსებით სამართლებრივ, სამოქალაქო ღირებულებებთან და პრინციპებთან პერმანენტულ კომპრომისებზე წასვლა გვიხდება. არადა არალიბერალური, არასამართლებრივი გზებით დემოკრატიული, მით უმეტეს, სამართლებრივი, ლეგიტიმური პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნა შეუძლებელია.

საარჩევნო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მხოლოდ არჩევნების ფორმალურ პროცედურას. მას შეუძლია უზრუნველყოს შემდგომი ეფექტიანი, კანონიერი პოლიტიკური სისტემის არსებობა. სასტარტო დაბალი ლეგიტიმაციის ხარისხი, რაც ამ კონტექსტში არასათანადოდ დაკომპლექტებულმა საარჩევნო ადმინისტრაციამ და, შესაბამისად, არჩევნების „საეჭვო“ შედეგებმა შეიძლება გამოიწვიოს, კონკრეტულ ხელისუფლებას მთელი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. ამდენად, ამ საკითხის სამართლიანად და რეალობის ადეკვატურად გადაწყვეტას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ზოგადი ღირებულებებისათვის, არამედ ხელისუფლების სტაბილურობისათვის.

კონსტიტუციური და პოლიტიკური პრაქტიკის ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც დაბალია პოლიტიკური კულტურა, სახელმწიფოებრივი სამოქალაქო ინსტიტუტები ნაკლებად განვითარებულია. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება, როგორც წესი, პოლიტიკური ნიშნით ხდება და მთავარი აქცენტიც სწორედ მთელი პოლიტიკური სპექტრის მაქსიმალურ ჩართულობაზე კეთდება. ხოლო განვითარებულ, ხანგრძლივი საარჩევნო ტრადიციების ქვეყნებში არჩევნების მასობრივი გაყალბებისა და კორუფციის თემა არც ისე აქტუალურია. აქ წინა პლანზე საარჩევნო ადმინისტრაციის ეკონომიურობის, ავტონომიურობის, პროფესიონალიზმის მაქსიმალური უზრუნველყოფის პრობლემა იწევს. ამ საკითხებს დავუბრუნდები, თუმცა უფრო მეტი თამიმდევრულობისათვის საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პოლიტიკურ ნიშანს შევხები.

ამ კონტექსტში ერთი მნიშვნელოვანი შეკითხვა მინდა დავსვა: რა ნიშნით უნდა მოხდეს პოლიტიკური ძალების შერჩევა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებისას მრავალპარტიულ და პოლიტიკურად ისეთ არასტაბილურ ქვეყანაში, როგორც საქართველოა. ხშირ შემთხვევაში ოთხი წლის წინ მაღალრეიტინგული პოლიტიკური მონოლითი სრულ კრიზისს განიცდის და მხარდაჭერის მოპოვების მინიმალურ შანსებსაც კარგავს. გამოსავალი ქართულ რეალობაში, ვფიქრობ, არც 7%-იან ბარიერგადალახული პოლიტიკური პარტიების გათვალისწინებაა. არაჯანსაღ პოლიტიკურ სივრცეში ძირითადი გავლენიანი პოლიტიკური ძალები „ახერხებენ“ გარიგებებს ისე, რომ გადაინაწილონ კვოტები პარლამენტში და თამაშგარე მდგომარეობაში, როგორც წესი, მარგინალური პოლიტიკური ძალები რჩება.

პოლიტიკური ანგაჟირებულობის (ამ სიტყვის ნეგატიური, ქართული გაგებით) პრობლემა ვერც დღევანდელ კანონმდებლობაში გადაწყდა. საარჩევნო კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით: ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) თავმჯდომარესა და 6 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი. პირველ რიგში ხაზგასასმელია, რომ, მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლისა, რომლის თანახმადაც პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ანუ პრეზიდენტი გავიდა სახელისუფლო ტრიადის კონფიგურაციიდან და ნეიტრალის, ე.წ. არბიტრის, როლი შეიძინა, იმავე საქართველოს კონსტიტუციის 72-ე მუხლი არ გამორიცხავს პრეზიდენტის კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიასთან კუთვნილებას: „საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა“.

2004 წელს გატარებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა პარლამენტის როლი იმდენად შეამცირა, რომ ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის „მჭიდრო თანამშრომლობის“ გამორიცხვა. მათ შორის თითქოს სუბორდინაციის ნიშნებიც

გაჩნდა. ამდენად, ასეთნაირად დაკომპლექტებულ საარჩევნო ადმინისტრაციაში მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის რეალური უზრუნველყოფა, ვფიქრობ, შეუძლებელი იქნება.

ძალზე საინტერესოა ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების საარჩევნო გამოცდილება, სადაც (ბრაზილია, პერუ და ა.შ.) არსებობს სპეციალიზებული სასამართლოები, რომლებიც ექსკლუზიურად საარჩევნო საქმეებს განიხილავენ.

ბრაზილიაში არსებობს უმაღლესი საარჩევნო სასამართლო, რეგიონული საარჩევნო სასამართლოები, საარჩევნო მოსამართლეებისა და საარჩევნო საბჭოებისაგან შექმნილი სისტემა, რომელიც საერთო სასამართლოების სისტემას ექვემდებარება და, საარჩევნო ადმინისტრაციების კომპეტენციებთან ერთად, საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციასაც ითავსებს. უმაღლესი საარჩევნო სასამართლოს შემადგენლობაც ცალსახად პროფესიულია: უმაღლესი ფედერალური სასამართლო (3 წარმომადგენელი), უმაღლესი სასამართლოები (2 წარმომადგენელი) და პრეზიდენტის 2 წარმომადგენელი, რომელთაც უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ წარდგენილი 6 ადვოკატისაგან ირჩევს და მათი აცილების დაბალი შესაძლებლობები გააჩნია.

პერუში საარჩევნო სასამართლოები, ბრაზილიური მოდელისაგან განსხვავებით, საარჩევნო სისტემისა და კანონმდებლობის ჩარჩოში ჯდება. პოლონეთშიც საერთო ეროვნულ და საოლქო დონის საარჩევნო კომისიებს შესაბამისი დონის სასამართლოები ადგენენ. მასთან, ეროვნული საარჩევნო კომისია უმაღლესი სასამართლოს, საკონსტიტუციო ტრიბუნალისა და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს წარმომადგენლებისაგან შედგება. გარდა სასამართლოსი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელისუფლო შტოსი, საარჩევნო სამართლის პრაქტიკა იცნობს აღმასრულებელი ხელისუფლების აქტიურ მონაწილეობას საარჩევნო პროცესში, მაგალითად, იტალია, აშშ. ამ უკანასკნელში არჩევნებთან დაკავშირებით ფედერალურ დონეზე მნიშვნელოვან საკითხებს არეგულირებს იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ცესკოს დაკომპლექტება სამოქალაქო ფაქტორის გათვალისწინებით. ცხადია, ეს ფაქტორი, კარგად დაბალანსებულ სისტემასთან ერთად, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის გაცილებით მეტ გარანტიას მოგვცემდა. მით უმეტეს, ყურადსაღებია სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა როლი, რომელთა ჩართულობაც ამ პროცესს უფრო კვალიფიციურს გახდიდა. ასევე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის ეფექტური მენეჯმენტი, მართვა-ორგანიზება. ამ ასპექტით საკმაოდ საინტერესოა მექსიკური პრაქტიკა, რომელიც ხმამაღალ და გლობალურ ფუნქციებს სძენს საარჩევნო ინსტიტუტებს, კერძოდ, ესენია: 1) დემოკრატიის რეალური განხორციელება, 2) პოლიტიკური კულტურის ამაღლების უზრუნველყოფა, 3) პოლიტიკური პარტიების განვითარების ხელშეწყობა. ამ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად არსებობს გენერალური საბჭო (8 უპარტიო მოქალაქე მრჩეველი ირჩევა დეპუტატთა 2/3-ის თანხმობით, 2-2 სენატორი და დეპუტატი – უმრავლესობასა და უმცირესობას შორის პარტიების დაცვით). აღნიშნული სტრუქტურების პარალელურად მუშაობს გენერალური დირექტორისა და 6 დარგობრივი დირექტორის, მკაცრად გამიჯნული კომპეტენციებით, და გენერალური მდივნისგან შემდგარი სისტემა, რომელიც ცალსახად ადმინისტრაციულ-მენეჯმენტურ ფუნქციას ატარებს.

არასწორი იქნებოდა, ხაზი არ გამესვა ქართულ პოლიტიკურ დებატებში საკმაოდ პრევალირებადი თემისათვის არასამთავრობო სექტორით ცესკოს დაკომპლექტების შესახებ, რაც, ჩემი აზრით, შეუძლებელია, რადგან მათი რაიმე ნიშნით რანგირება ამ სექტორში სახელმწიფოს მხრიდან უხეშ ჩარევად განიხილებოდა და ობიექტურ კრიტერიუმებზე შეთანხმება ვერ მოხერხდებოდა. მით უმეტეს, რომ ქართულ რეალობაში „უმნიკვლო“ არც

სტრატეგიული დოკუმენტი

არასამთავრობო სექტორია და მისი პოლიტიკური ნიშნით სტრატეგიკაცია არც ისე რთულია (ეს კარგად გამოვლინდა ვარდების რევოლუციის დროს).

რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა ნაკლებად მწვავე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტებს: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობას, ავტონომიურობას, ეკონომიურობასა და პროფესიონალიზმს, საზღვარგარეთის უმრავლესი ქვეყნის საარჩევნო სამართალი საარჩევნო ორგანოებს განიხილავს როგორც დამოუკიდებელს, ავტონომიურს სახელმწიფოს სხვა ორგანოებისაგან, მათ შორის, გარდაუვალი კონსტიტუციური ურთიერთკავშირის გათვალისწინებით (პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულება, სასამართლო კონტროლი).

შეიძლება გამოიყოს საარჩევნო ორგანოების შედარებითი დამოუკიდებლობის რამდენიმე ნიშანი:

- 1) საარჩევნო ინსტიტუტების განსაზღვრა დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსით;
- 2) საარჩევნო ინსტიტუტების შექმნა და საქმიანობა განსაზღვრულ სამართლებრივ წესრიგში;
- 3) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებლობა, კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესის გარდა;
- 4) დაფინანსება უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ხარჯვითი ნაწილის ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული ასპექტების ჭრილში ქართულ საარჩევნო კანონმდებლობაში არსებითი ხარვეზები არ შეიმჩნევა და საკანონმდებლო დონეზე სათანადოდ არის რეგულირებული (საარჩევნო კოდექსის მე-17 I-III, 30-ე II „გ“, მე-19 III მუხლები).

ასევე მნიშვნელოვან პრინციპთან – ეკონომიურობასთან არის დაკავშირებული დროებითი ან მუდმივმოქმედი ადმინისტრაციისა და მისი შემადგენლობის რაოდენობრივი ასპექტის თემა. ჩემი აზრით, მუდმივმოქმედი ადმინისტრაციის ინსტიტუტები გაცილებით მიზანშეწონილია. ჯერ ერთი, ის იძლევა საფუძველს უშუალო დემოკრატიის ფორმების (რეფერენდუმი, პლემბისციტი, არჩევნები) რეალური განხორციელებისას ნებისმიერ ეტაპზე, როგორც კი ის დღის წესრიგში დადგება. ამ თვალსაზრისით, ის ეფექტური დემოკრატიის ერთგვარ პრინციპად შეიძლება განვიხილოთ. მეორე მხრივ, ამ პრინციპით კარგად წყდება სამართალმემკვიდრეობის, სამართლებრივ ურთიერთობათა სტაბილურობის, უწყებრივი ორგანიზაციების საკითხებიც. ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით, აპარატის რიცხოვნობის შემცირების საკითხი შეიძლება გადაისინჯოს არასაარჩევნო პერიოდებში. საინტერესოა უცხოური გამოცდილება: ავსტრალიის საარჩევნო ადმინისტრაცია მხოლოდ სამი წევრისაგან შედგება (ფედერალური სასამართლოს წარმომადგენელი, სტატისტიკის სამსახურის ხელმძღვანელი და კომისიის მუდმივი წევრი); კანადის ფედერალური საარჩევნო ადმინისტრაცია 1 წევრისგან შედგება, რომელსაც თემთა პალატა უვადოდ ირჩევს. ადმინისტრირების უფლებამოსილების განხორციელების მიხედვით, მნიშვნელოვანია უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობისა და როტაციის საკითხი. ჩემ მიერ შესწავლილ ქვეყნებში ძირითადად ფიქსირდება უფლებამოსილების 2-6 წლიანი ვადა და 2-ზე მეტად არჩევის დაუშვებლობა. აშშ-ის კანონმდებლობა ყოველ ორ წელიწადში 1/3-ით განახლების პრინციპს იცნობს, ისე, რომ არ დაირღვეს პარტიტულობის საფუძველი.

პროფესიონალიზმის საკითხიც, ვფიქრობ, სამართლიანად და მართებულად გადაწყდა ქართულ კანონმდებლობაში, როცა სავალდებულო პირობად გათვალისწინებულ იქნა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი. მართლაც, საარჩევნო კოდექსს, რომელიც საარჩევნო პროცესში წარმოშობილ ყოველ ურთიერთობას საკმაოდ სკურპულოზურად არეგულირებს, სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია სჭირდება.

სტრუქტურული ფორმა

შალვა ხვთისაგრიშვილი:

საარჩევნო ადმინისტრაცია შეიძლება იყოს ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული. ქართული საარჩევნო ადმინისტრაცია ცენტრალიზებული სისტემაა და შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს), საოლქო საარჩევნო კომისიისა და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გავლენა საკმაოდ მაღალია. ცესკო განსაზღვრავს საარჩევნო ოლქების რაოდენობას და ადგენს მის საზღვრებს, საჭიროების შემთხვევაში თანამდებობიდან ათავისუფლებს საოლქო კომისიისა და საუბნო კომისიის წევრებს, იბარებს მათ ანგარიშს და აკონტროლებს მათ საქმიანობას, უფლებამოსილია, მიიღოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

ჩემი აზრით, დეცენტრალიზებული საარჩევნო ადმინისტრაცია ჩვენი ქვეყნისათვის უფრო მიზანშეწონილია, მსგავსად ამერიკის შეერთებული შტატებისა, სადაც იგი საკმაოდ ეფექტიანად მოქმედებს. დეცენტრალიზებული სისტემის უპირატესობა ისაა, რომ რეგიონული საარჩევნო კომისიები უფრო ახლოს იცნობენ იმ პრობლემებსა და თავისებურებებს, რაც არჩევნების ჩატარებასთანაა დაკავშირებული. თუმცა, თუ ქართულ რეალობასა და ქართველი ხალხის პოლიტიკურ-მოქალაქეობრივ შეგნებას გავითვალისწინებთ, ალბათ, დროებით უკეთესი იქნება ცენტრალიზებული საარჩევნო ადმინისტრაციის არსებობა, სადაც გარანტირებული მდგომარეობა ცესკოს უჭირავს.

საარჩევნო ადმინისტრაცია ასევე შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი. ქართული საარჩევნო ადმინისტრაცია ორივე ამ კრიტერიუმს მოიცავს. ცენტრალური საარჩევნო კომისია მუდმივმოქმედა (6 წლის ვადა), საუბნო კი დროებითი. ჩემი აზრით, დროებითი საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნას ის უპირატესობა აქვს, რომ სახელმწიფო საკმაოდ მნიშვნელოვან ხარჯებს დაზოგავს, თუმცა საკითხის ამგვარად გადაწყვეტას უარყოფითი მხარეც აქვს: მცირე დროის გამო კომისიათა წევრები სათანადოდ ვერ მომზადდებიან, საარჩევნო კანონმდებლობა კი ვერ დაიხვეწება (რა გარანტიაა, რომ მომავალშიც არ შეიცვლება საარჩევნო კანონმდებლობა).

ქართული საარჩევნო ადმინისტრაციის ნაკლი ისიცაა, რომ არ მოქმედებს როტაციის პრინციპი, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო ორგანოთა სტაბილურ ხასიათს და ხელს შეუწყობს პროფესიული დონის ამაღლებას. ჩემი აზრით, ასევე არ შეიძლება საუბნო საარჩევნო კომისიების ორ წევრს არჩევნებში უკეთესი შედეგის მქონე სამი პარტია ნიშნავდეს. უმჯობესია, ისინიც კონკურსის წესით აირჩნენ, რადგან ქართულ სინამდვილეში ეს ხალხი თავიანთი პარტიის ინტერესების დაცვას ცდილობს, რაც საბოლოოდ იწვევს საარჩევნო დავების სიმრავლეს სასამართლოში და აბრკოლებს არჩევნების სრულყოფილ ჩატარებას.

გულიკო გალდავა:

დემოკრატიისა და სამართლებრივი რეალობის ჰარმონიზაციის ფონზე გაკეთებული სწორი არჩევანი ყოველგვარი წარმატების განმსაზღვრელია. სწორედ ამიტომ საარჩევნო სისტემის სრულყოფის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი ქვეყნის უზენაესი კანონით – საქართველოს კონსტიტუციით – განსაზღვრულია სრულფასოვანი დემოკრატიული ფორმულა: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“ (მე-5 მუხლი). ხალხი კი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი არჩევანის მეშვეობით. სწორედ ხალხი ახდენს თავისი ხელისუფლების სელექციას, ამიტომ არავის არა აქვს უფლება, შებოჭოს მათი ჭეშმარიტი სურვილი და ნება.

სტუდენტური ფორუმი

რეალურად რომელი ჯგუფიც არ უნდა განვიხილოთ საარჩევნო სისტემათა ჯგუფთაგან, რამდენ დონიან (თუ ტურიან) არჩევნებზეც არ უნდა ვისაუბროთ, რამდენი საპარლამენტო პალატის ფორმირებაზეც არ უნდა დავამუშაოთ წინადადებები - ეს ყველაფერი იქნება მხოლოდ ფორმალური ასპექტი, თუ, უპირველეს ყოვლისა, არ ვიზრუნებთ, რომ საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები განხორციელდეს სწორედ დემოკრატიული ღირებულებების ფონზე, რათა:

- არ წაართვან და არ გაუყალბონ ამომრჩევლებს თავისი ნება და ხმა;
- საარჩევნო აგიტაცია იყოს ჯანსაღი, ობიექტური, თანასწორი და სამართლიანი;
- არ გახდეს საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული პრაიმერი საქართველოში ირონიის ობიექტი;
- არ დაკომპლექტდეს ცესკო მოჩვენებითი ნეიტრალური პრინციპების საფუძველზე და ა.შ.

მიხეილ ქურდოვანიძე/ვახტანგ რაზმაძე:

ქართულ საარჩევნო სისტემას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ჩვენი აზრით, საჭიროა დემოკრატიულ სახელმწიფოთა მაგალითის გათვალისწინებით გარკვეულ საკითხთა შეცვლა და დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკის შესატყვისება ქართულ რეალობასთან.

ქართული საარჩევნო სისტემის ყველაზე დიდ ხარვეზად საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი მიგვაჩნია. ცხადია, რომ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილეები და სხვა თანამდებობის პირები უნდა იყვნენ კვალიფიციურნი, პროფესიონალები და, ამასთანავე, მიუკერძოებლები. ამისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს მათი დანიშვნისა თუ არჩევის წესს. მაგალითად შემდეგი არგუმენტის მოყვანაც შეიძლება: პრეზიდენტის მიერ წარდგენილი და პარლამენტის უმრავლესობის მიერ არჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები ვერ იქნებიან მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, მით უმეტეს, ჩვენს რეალობაში. ამიტომაც, უნდა შეიქმნას სპეციალური საარჩევნო სისტემის სკოლა, სადაც მოინვევენ საარჩევნო სისტემის როგორც უცხოელ ისე ქართველ სპეციალისტებს. მათ უნდა მოამზადონ ამ სისტემაში მუშაობის მსურველი ადამიანები, ჩამოაყალიბონ ისინი პროფესიონალებად და სპეციალური კურსების გავლის შემდეგ ჩაუტარონ კონკურსი. მაღალი ქულებით შეფასებულნი გაგზავნილი უნდა იქნენ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად გარკვეული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი დაინიშნონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და სხვა თანამდებობის პირები არჩეულ უნდა იქნენ მათ მიერ მათივე შემადგენლობიდან. რაც შეეხება საოლქო და საუბნო კომისიებს, ისინი უნდა დაკომპლექტდნენ შესაბამისი სკოლის მიერ მოწყობილ გამოცდებზე მიღებული ქულების მიხედვით. ასევე, მათი უფლებამოსილების ვადა უნდა იყოს ხანგრძლივი, რითაც გამოირიცხება მათზე ხელისუფლების გავლენა. გარდა ამისა, ყოველი მოახლოებული არჩევნების წინ უნდა მოხდეს ცესკოს თავმჯდომარისა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევა მათივე შემადგენლობიდან. მასთანავე, შესაბამის სკოლაში უნდა მომზადდნენ პერიოდულად სხვა პირებიც, რომლებიც საარჩევნო კომისიაში დაინიშნებიან ვაკანტურ თანამდებობებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის წევრთა მიუკერძოებლობასა და პროფესიონალიზმს, რაც არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების საფუძველია.

საარჩევნო სისტემის განხილვისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამომრჩეველთა სიების დადგენას. ნაწილობრივ გასაზიარებელია ჩვენი საარჩევნო კოდექსის ვარიანტი, თუმცა

სტუდენტური ფორუმი

შეიძლება გამოითქვას გარკვეული შენიშვნებიც: ერთიანი სიის დადგენა არ იქნება გამართლებული, რადგან მისი სრულყოფა მძიმე შრომასთანაა დაკავშირებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არჩევნები მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების ადამიანთათვის არის განსაზღვრული, ამიტომაც კარგი იქნება, ყოველი არჩევნების წინ ამომრჩეველთა სიის დასადგენად ჩატარდეს წინასწარი რეგისტრაცია. ამით ამომრჩევლებთან დაკავშირებული პრობლემა მოიხსნება.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

მარიამ ცქიფურიშვილი:

არჩევნები, როგორც დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციური მექანიზმი, შედგება სხვადასხვა სტადიისაგან, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რთულ კომპლექსს წარმოადგენს. სწორედ საარჩევნო პროცესის ერთ-ერთ სტადიას განეკუთვნება საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია. საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია იწყება ასარჩევ თანამდებობაზე კანდიდატთა დასახელებით, ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა საარჩევნო კანონმდებლობაში საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის წესთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილების შეტანა, კერძოდ:

1) ხელმონერების შეგროვება სავალდებულო უნდა იყოს არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისა და ბლოკისათვის. უმჯობესი იქნება, პარტიები ჩავაყენოთ თანაბარ მდგომარეობაში, ანუ ყველა პარტიამ, მიუხედავად იმისა, არჩევნების დროს ჰყავს თუ არა წარმომადგენელი პარლამენტში, წარადგინოს 50 000 ამომრჩევლის ხელმონერა.

2) ბლოკის საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის იდენტური. ვინაიდან საარჩევნო ბლოკი წარმოადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ ორი ან მეტი პარტიის გაერთიანებას, ბლოკის რეგისტრაციისათვის აუცილებელი უნდა იყოს გაცილებით მეტი ამომრჩევლის ხელმონერა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია პოლიტიკური პარტიების არჩევნებში მონაწილეობის მხარდაჭერის დასადასტურებლად.

3) არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და საარჩევნო ოლქში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივა უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ კომისიას ეჭვი შეეპარება მხარდაჭერა სიების ან სხვა დოკუმენტების სისწორეში, მან მაინც უნდა გაატაროს პარტია რეგისტრაციაში და თვითონვე შეიტანოს სარჩელი უზენაეს სასამართლოში, ვინაიდან, როდესაც ცესკო გააუქმებს სუბიექტის რეგისტრაციას, ხოლო სასამართლო აღადგენს, პარტია ან კანდიდატი კარგავს ერთ კვირას მაინც. აქედან გამომდინარე, გვიან იწყებს საარჩევნო კამპანიას და ვარდება რიტმიდან.

4) ისევე, როგორც მრავალ სახელმწიფოში, საქართველოშიც უნდა არსებობდეს თვითდასახელების ინსტიტუტი, ვინაიდან ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება, ინდივიდუალურად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, წარადგინოს საკუთარი კანდიდატურა პოლიტიკურ ან სახელმწიფო თანამდებობაზე.

5) ხელმონერების შეგროვების პარალელურად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უნდა იქნეს საარჩევნო სანდარის სახით განსაზღვრული თანხის შეტანის ვალდებულება, ანუ გირაოს ინსტიტუტი, ყველა კანდიდატისა და პარტიისათვის, რომელსაც სურს საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაცია. იმ შემთხვევაში, თუ პარტია ან კანდიდატი

სტუდენტური ფორუმი

გადალახავს გარკვეულ ბარიერს, მას ეს თანხა უკან დაუბრუნდება, წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა ჩაირიცხება ბიუჯეტში. კანონმდებლობაში ამგვარი ცვლილების შეტანა ხელს შეუწყობს საარჩევნო კამპანიაში უპერსპექტივო კანდიდატებისა და პარტიების რაოდენობის შემცირებას, რაც დადებითად აისახება საარჩევნო პროცესზე, ვინაიდან არჩევნებში მონაწილე პარტიების სიმრავლის დროს ამომრჩეველი იბნევა, მიცემული ხმების უმეტესი ნაწილი კი იკარგება, რადგან კანდიდატთა უმრავლესობას საერთოდ არა აქვს შანსი. ისინი ვერ სწვებიან საარჩევნო ზღვარს და, შესაბამისად, ვერც პოლიტიკურ ან სახელმწიფო თანამდებობებზე ხვდებიან.

6) საქართველოს საარჩევნო კოდექსის 96-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „წარდგენილ სიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 235-ს“. მიუღებლად მიმაჩნია პარტიული სიების რაოდენობრივი შეზღუდვა. გასაგებია მაქსიმალური ზღვარის დაწესების მიზეზები, მაგრამ გაუგებარია, სიაში კანდიდატთა რიცხვი რატომ არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები?! არ ვეთანხმები მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, თუ პარტიას არა აქვს პარტიულ სიაში 100-ზე მეტი პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შესაძლებლობა, იგი იქნება უფრო დაბალრეიტინგიანი, ვერ გაამართლებს ამომრჩევლის იმედებს და, უმჯობესია, ასეთი პარტია საერთოდ არ გატარდეს რეგისტრაციაში. ჩემი აზრით, მინიმალური ზღვრის დადგენა დამოკიდებული უნდა იყოს კონკრეტული პარტიის ნებაზე და არ უნდა იყოს კანონმდებლის პრეროგატივა.

ზემოსხენებული შენიშვნების გათვალისწინება და კანონმდებლობაში ამგვარი ცვლილებების შეტანა შედარებით უფრო დემოკრატიულს გახდიდა არა მხოლოდ საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის წესს, არამედ მთელ საარჩევნო პროცესს.

საარჩევნო ცენზები

სალომე ფრუიძე:

სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული რაოდენობისა და შინაარსის საარჩევნო ცენზები მოქმედებს, თუმცა შეინიშნება მათი მინიმიზაციისა და უნიფიცირების ტენდენცია. ჩემი აზრით, რაც უფრო მცირე და მკაფიოდ განსაზღვრულია ქვეყანაში ცენზები, მით უფრო მაღალია დემოკრატიულობის ხარისხი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საყოველთაოდ მოქმედი ცენზია ასაკობრივი შეზღუდვა. მისი მინიმალური ზღვარი განსაკუთრებით მაღალია პასიური საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად. ჩემი აზრით, ზოგიერთ სახელმწიფოში მინიმალური ასაკი გაუმართლებლად დიდია. მიმაჩნია, რომ, ზოგადად, ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა უფრო ადრეულ ასაკში ხდება, ხანში შესვლასთან ერთად კი მისი უნარები, მათ შორის გონებრივიც, როგორც წესი, თანდათან იკლებს. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს, განსაკუთრებით, ისეთ უმაღლეს თანამდებობაზე არჩევის დროს, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის პოსტია. შესაბამისი ცხოვრებისეული გამოცდილების შექმნა, ჩემი აზრით, უფრო დაბალი ასაკის პირობებშიც არის შესაძლებელი. ამიტომ სრულიად ვეთანხმები საქართველოს კონსტიტუციის დანაწესს, რომლითაც პრეზიდენტობის კანდიდატისთვის დაწესებული ქვედა ასაკობრივი ზღვარი 35 წელია. ასაკის მიუხედავად, ყველაზე ღირსეულის განსაზღვრა ამომრჩევლის უფლებაა და შეუსაბამოდ მაღალი ასაკობრივი ბარიერებით ისინი არ უნდა იყვნენ შეზღუდულნი არჩევანში.

ჩემი აზრით, სადავოა საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში საარჩევნო კანდიდატთა მინიმალური ასაკის განსაზღვრის შესახებ. საქართველოს

სტუდენტური ფორუმი

კანონმდებლობის თანახმად, ეს ასაკი 21 წელია (საქართველოს საარჩევნო კოდექსის 110-ე მუხლი). 21 წელი საკმაოდ მცირე ასაკია იმდენი ცოდნისა და გამოცდილების დასაგროვებლად, რომ პირი თავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რეგიონს გამოადგეს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მინიმალური ასაკი 23 წელი მაინც უნდა იყოს. საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია 21 წლის გამგებელი თუ მერი, რომელიც ეფექტიანად შეასრულებს მოვალეობებს.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ისეთი მორალური ხასიათის საარჩევნო ცენზები, როგორც ბიცაა: მანანალებისათვის, ლოთებისათვის, ნარკომანებისათვის, გაკოტრებულთათვის აქტიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევა. ვფიქრობ, მათი ასეთი მკვეთრი გამიჯნვა საზოგადოების დანარჩენი წარწილისაგან, მათთვის უფლების ჩამორთმევა კიდევ უფრო გარიყავს ასეთ ადამიანებს ნომალური საზოგადოებისაგან და არანაირად არ შეუწყობს ხელს მათს მობრუნებას ჯანსაღი ცხოვრებისაკენ.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე სასჯელსრულების დაწესებულებებში მყოფ პირებს. ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუკი გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულთ (მაგალითად, გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩამდენთ) ეს უფლება შეუნარჩუნდებოდათ.

დამნაშავისათვის აქტიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევას სახელმწიფოებრივი ინტერესით ამართლებენ, თუმცა ამ ცენზს გარკვეული დისკრიმინაციული ელფერი დაჰკრავს.

სოფო გიგანი:

არ ვიცი, რამდენად მართებულია, მაგრამ, ჩემი აზრით, უნდა გაიზარდოს პასიური საარჩევნო უფლების ასაკობრივი ცენზი, რომელიც ამჟამად 25 წელია. იმისათვის, რომ პირი იყოს საკანონმდებლო ორგანოს წევრი, აღნიშნული ასაკი ძალიან მცირეა. ამ უფლების განხორციელებას სჭირდება უფრო დიდი პოლიტიკური გამოცდილება, ვიდრე 25 წლის ადამიანს აქვს. მით უფრო, რომ მოსამართლე, რომელიც ახორციელებს კანონშეფარდების ფუნქციას, აუცილებელია, 28 წლის მაინც იყოს. კანონის შემქმნელს, ჩემი აზრით, მეტი გამოცდილება და ცოდნა მოეთხოვება.

საკმაოდ მნიშვნელოვანია ბინადრობის ცენზი, რომლის დაწესებითაც საარჩევნო კანონი მოითხოვს პირის გარკვეული ვადით ცხოვრებას ქვეყანაში ან რომელიმე ტერიტორიულ საარჩევნო ერთეულში. პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლის განმავლობაში.

პარლამენტის წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ ცხოვრობდა საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში საქართველოს საკონსულტოში არ დგას აღრიცხვაზე. მიმაჩნია, რომ თუ პირი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არ ცხოვრობს საქართველოში მუდმივად, მაგრამ აქვს დიდი პოლიტიკური გამოცდილება ან საკანონმდებლო ორგანოს წევრობისათვის დიდი პოტენციალი, მისი ამგვარი შეზღუდვა არამართებულია. მან შესაძლოა, უფრო მეტი გააკეთოს ქვეყნის პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით, ვიდრე, დავუშვათ, პირმა, რომელიც 25 წლისაა და მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ 10 წლის განმავლობაში.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა, გარდა ასაკობრივი, ბინადრობისა და მოქალაქეობის ცენზისა, არ ითვალისწინებს რაიმე დამატებით ცენზს. ჩემი აზრით, სასურველი იქნებოდა მორალური ცენზის დაწესება, რათა თავიდან აგვეცილებინა იმ პირებისათვის პასიური საარჩევნო უფლების მინიჭება და საქართველოს ხელისუფლების ორგანოების შემად-

სტუდენტური ფორუმი

გენლობაში ყოფნა, რომლებსაც აქვთ საეჭვო წარსული ან რეპუტაცია, რაც არასასურველს ხდის მათს მოხვედრას ამ ორგანოებში. ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებსა თუ პოლიტიკურ ამოცანებს უნდა ახორციელებდეს საამისოდ კომპეტენტური პირი მორალის თვალსაზრისითაც.

ზაზა მარტიაშვილი:

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მოქალაქეობის პრინციპია, რომელიც მოქმედებს როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლების განხორციელებისას. აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელებისას მოქალაქეობის ცენზი, ერთი შეხედვით, გამართლებულია. რა თქმა უნდა, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ქვეყნის ბედის განსაზღვრაში, მაგრამ, ბუნებრივია, იბადება კითხვა, ხომ არ იზღუდება იმ პირთა უფლებები და ინტერესები, რომლებიც საქართველოში მუდმივად ცხოვრობენ, მაგრამ საქართველოს მოქალაქეები არ არიან? ისინიც ხომ მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან და მის ნაწილს წარმოადგენენ; მათი ბედიც ისევე არის დამოკიდებული სახელმწიფო ხელისუფლებაზე, როგორც საქართველოს მოქალაქეებისა. აქედან გამომდინარე, ამ პირებსაც უნდა შეეძლოთ მონაწილეობის მიღება სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებაში. მიმაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა, აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელებისას მოქალაქეობრივი ცენზი შეცვლილიყო ბინადრობის ცენზით, რომელიც, როგორც აღვნიშნე, კონკრეტულ ტერიტორიაზე დასახლების ხანგრძლივობით იზომება. პასიური საარჩევნო უფლების შემთხვევაში მოქალაქეობის ცენზის არსებობა სავსებით გამართლებულად მიმაჩნია.

ნათია ბერიკაშვილი:

საქართველოში საარჩევნო უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ. მოქალაქედ ყოფნის რაიმე ვადას კანონი არ ითვალისწინებს, გარდა ერთი გამონაკლისისა – საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქე, რაც, ჩემი აზრით, სავსებით მიზანშეწონილია. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს რუსეთის მოქალაქე, როგორც დაბადებით, ისე ნატურალიზებული, რომელსაც მუდმივად უცხოვრია რუსეთში მისი კანდიდატად წარდგენამდე 10 წელი მაინც; უნგრეთში საარჩევნო უფლება ენიჭებათ იმიგრანტებსაც, რომლებიც ცხოვრობენ უნგრეთის ტერიტორიაზე და არ არიან უნგრეთის მოქალაქეები, თუ ისინი არჩევნების დღეს იმყოფებიან ქვეყნის ტერიტორიაზე. ზოგიერთ ევროპული კავშირის ქვეყანაში ადგილობრივ არჩევნებში აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ ასევე ევროპული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები. კარგი იქნებოდა, თუ ადგილობრივ არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლებით ისარგებლებენ არა მარტო საქართველოს მოქალაქენი, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში (10-15 წლით მაინც) მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში. მაგალითად, ნიდერლანდებში პირებს, რომლებიც არ არიან ნიდერლანდების მოქალაქენი, მაგრამ არა ნაკლებ 5 წლით მაინც მუდმივად ცხოვრობენ ამ ქვეყანაში, უფლება აქვთ აირჩიონ ან თვითონ იქნენ არჩეულნი მუნიციპალურ საბჭოში. ვფიქრობ, რომ პასიური საარჩევნო უფლებით უნდა სარგებლობდნენ მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქენი. ისინი უფრო კარგად იცნობენ ეროვნულ პრინციპებსა და ტრადიციებს.

სტუდენტური ფორუმი

ირმა ნოზაძე:

აქტიური საარჩევნო უფლება რომ მიენიჭოს პირს, ის აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. ზოგადი წესიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქე და, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირი გათანაბრებულია საქართველოს მოქალაქეებთან, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. სწორედ ასეთ გამონაკლისს მიეკუთვნება არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ეს დებულება, ჩემი აზრით, სრულიად გამართლებულია, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეები უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან შედარებით გაცილებით უკეთესად ერკვევიან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, ამიტომაც უფრო გაუადვილებათ სწორი გადაწყვეტილების მიღება, თანაც მით უფრო დიდი დაინტერესება აქვთ, რომ ქვეყანაში სწორად წარმართონ პოლიტიკური პროცესები.

მიუღებლად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ სასჯელალსრულებით დაწესებულებებში გამამტყუნებელი განაჩენით მყოფ პირებს. ჩემი აზრით, ისინიც საქართველოს ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ციხე მიზნად ისახავს დამნაშავეთა რესოციალიზაციას. იქნებ მათი ამ პროცესში ჩაბმით მათი გონება მიმართულიყო ქვეყნისათვის სასიკეთო საქმის გასაკეთებლად. არსებობს პატიმართა დიდი რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ ჯანსაღი აზრის დაფიქსირება.

ლალი თევდორაშვილი:

საარჩევო ხმის უფლება ქვეყნის ყველა მცხოვრებს აქვს, მაგრამ ასე ფართოდ არსად ხორციელდება. იგი შეზღუდულია სხვადასხვა საარჩევო ცენზით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით საარჩევნო უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებიც სასამართლომ ქმედუწუნაროდ ცნო, ან, რომლებიც სასამართლოს განაჩენით სასჯელალსრულების დაწესებულებაში იმყოფებიან, რაც არ მიმაჩნია მართებულად. შეიძლება სასამართლომ ჩამოართვას საარჩევნო უფლება ქმედუწუნარო პირს იმის გამო, რომ მას არა აქვს საკუთარი ქმედების შინაარსის განსაზღვრის უნარი, მაგრამ სასჯელმწიფარდებულ ადამიანს ხომ შეუძლია საკუთარი მოქმედების გაცნობიერება? ისიც ხომ საზოგადოების ნაწილია? რატომ არ უნდა მივცეთ ამ ადამიანს არჩევანის გაკეთების უფლება, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების ხარვეზები ხშირად მათზეც აისახება? დამნაშავეს ქმედების მიღმა არის მრავალი ფაქტორი, გარემოება, რომლებიც პიროვნების დამნაშავედ ჩამოყალიბებაზე მიგვანიშნებენ და პირდაპირ თუ ირიბად სახელმწიფო ფუნქციების არასათანადოდ განხორციელებასთან არის დაკავშირებული, მაგალითად, საზოგადოებაში სოციალური უზრუნველყოფის პრობლების შეუქმნელობა. ასევე მნიშვნელოვანია დამნაშავეს რესოციალიზაციის პრობლემა სასჯელალსრულების დაწესებულებაში, რისთვისაც აუცილებელია სათანადო პირობებისა და გარემოს შექმნა. ანუ დამნაშავეს ცხოვრება, მისი მომავალი არანაკლებად დაკავშირებული ხელისუფლებაში მომხდარ ცვლილებებთან. ამიტომ, ვფიქრობ, არ უნდა იყოს მსგავსი შეზღუდვა მათ მიმართ. ისინიც საზოგადოების წევრები არიან.

ანა ბასილაშვილი:

ის ფაქტი, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი შეიძლება იყოს მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქე (ამავე აზრს ითვალისწინებს აშშ-ის კანონმდებლობა) გაუმართლებლად მიგვაჩნია. ამ გზით ხდება საქართველოს მოქალაქეთა დიფერენციაცია და ერთი კატეგორიის მეორესთან

სტუდენტური ფორუმი

შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება. ჩემი აზრით, ეს მიუღებელია. საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით.

ბინადრობის ცენზი ვრცელდება მხოლოდ პასიურ საარჩევნო უფლებაზე, მაგალითად: პრეზიდენტობის კანდიდატმა საქართველოში უნდა იცხოვროს 15 წელი მაინც, პარლამენტის წევრობის კანდიდატმა 10 წელი და აშ. ბინადრობის ცენზის დაწესება გამართლებულად მიმაჩნია და მივესალმები ამ ფაქტს, ვინაიდან შეუძლებელია, პირმა სათანადოდ შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები, თუ მას საკმაოდ დროით არ უცხოვრია საქართველოში, არ გასცნობია მის სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ მდგომარეობას.

ფენომენალური შემთხვევაა დაფიქსირებული უნგრეთში: ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ იმიგრანტებს, უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს (იგულისხმება როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლება), რომლებიც ცხოვრობენ უნგრეთში და არჩევნების დროს იმყოფებიან ქვეყნის ტერიტორიაზე. უნგრეთის ეს პოზიცია უნდა გავიგოთ როგორც მცდელობა – უფლებრივად მეტად გაათანაბროს უნგრეთის მოქალაქეები, აგრეთვე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირები. აღნიშნულ ფაქტს მივესალმები. ჩემი აზრით, აქტიური საარჩევნო უფლება ადგილობრივ არჩევნებში შეიძლება მივიანოთ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და ფლობენ ქართულ ენას.

სოფო კუპატაძე:

ასაკობრივი ცენზის შემოღების არსი ისაა, რომ ადამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და მზად იყოს ქვეყნისა და ხალხისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად. ამიტომაც გაურკვეველია ქართველ კანონმდებელთა მიზანი, როდესაც პარლამენტის წევრობისათვის აწესებენ 25, ხოლო საკრებულოს წევრობისათვის 21 წლის ასაკობრივ ზღვარს... როგორც ჩანს, კანონმდებელს ასაკობრივი ცენზის დაწესებისას არ გაუთვალისწინებია, რომ სახელმწიფოს მართვასა და მართვის პროცესში მონაწილეობას სჭირდება ცოდნა, განათლება და შესაბამისი ცხოვრებისეული გამოცდილება.

ბინადრობის ცენზის მიზანია, კანდიდატი იცნობდეს იმ ქვეყნისა და რეგიონის პრობლემებს, სადაც ის არჩეულ უნდა იქნეს. საქართველოს კონსტიტუცია იმპერატიულად მოითხოვს, რომ საქართველოს პრეზიდენტი იყოს დაბადებით საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დღესაც ცხოვრობს საქართველოში (70-ე II მუხლი). რაც შეეხება პარლამენტის წევრს, არ შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია 10 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში. ვფიქრობ, გამართლებულია მაჟორიტარულ არჩევნებში ბინადრობის განსხვავებული ცენზის დაწესება. პირი, რომელიც არ განეკუთვნება იმ რაიონს, სადაც არჩეულ უნდა იქნეს, ვერ გაითვალისწინებს იმ სპეციფიკურ პრობლემებს, რაც შეიძლება დამახასიათებელი იყოს ამ რეგიონისათვის.

კანონმდებლობა არ ადგენს საარჩევნო უფლების მისაღებად განათლების ცენზს. ვფიქრობ, ასეთი ცენზი უნდა არსებობდეს პასიური საარჩევნო უფლებისათვის, მით უმეტეს, თუკი ჩვენი წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობას გავითვალისწინებთ. საოცარია იმ პირთა სიმრავლე დეპუტატთა რიგებში, როგორებიცაა: მსახიობი, რეჟისორი, სპორტსმენი, მომღერალი და აშ. უკეთესი იქნებოდა, კანონმდებელს განესაზღვრა იმ პროფესიის მქონე პირთა წრე, რომელთაც უფლება ექნებოდათ ან არ ექნებოდათ, არჩეული ყოფილიყვნენ წარმო-

სტუდენტური ფორუმი

მადგენლობით ორგანოში ან თანამდებობაზე. თუმცა, ალბათ, არც განათლების ცენტრის შემოღება დაარეგულირებს ამ პრობლემას, ვიდრე დიპლომების შექმნა ასეთი ხელმისაწვდომი იქნება ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ პირებს, რომლებიც სასამართლომ ცნო ქმედუწუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელადსრულების დაწესებულებაში. თუ გავითვალისწინებთ პატიმრების ისედაც შეზღუდულ უფლებებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საარჩევნო უფლების წართმევა, თავიანთი პოზიციის დაფიქსირების შეზღუდვა, გაუმართლებლად მიმაჩნია. სწორედ ამ პატიმრების ბედი მომავალში გარკვეულწილად უნდა განსაზღვროს არჩევნების შედეგად მოსულმა ხელისუფალმა. ისინი კი ვალდებულნი არ არიან, იცხოვრონ სხვათა მიერ არჩეულ ხელისუფალთა მმართველობის ქვეშ.

საქართველოს კანონმდებლობა საარჩევნო ცენზებთან დაკავშირებით დასახვეწია. საჭიროა უფრო მკაცრი ცენზების დაწესება და შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების გააქტიურება ამ ცენზების დაცვისათვის. კანონი ამ მიმართულებით უფრო ჰუმანური უნდა გახდეს და პატიმრებს უნდა მიეცეთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

არჩევნების დაფინანსება

თათია ელიაძე:

არჩევნების დაფინანსების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური და ბუნდოვანია ქართული საარჩევნო კოდექსის მიხედვით. დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე უარყოფით გავლენას ახდენენ სპეციალურად არჩევნებისათვის შექმნილი ე.წ. „ჯიბის“ პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც გამარჯვებას სიაში ერთი-ორი სკანდალურად შეყვანილი პოლიტიკური ფიგურით ცდილობენ და ავანსის სახით გაურკვეველი წყაროებიდან ფინანსდებიან.

ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება ორ ჯგუფად წარმოვადგინოთ: საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების პრობლემა. დაფინანსების საკითხის გაუმჭვირვალობას, ერთი მხრივ, წარმოშობს საპარლამენტო პარტიათა პლურალიზმი. მათი რაოდენობა, წარმოშობა და სხვა საკითხები, რომელებიც ამ პარტიების შექმნასა და შემდგომ საქმიანობას ეხება, ფაქტობრივად დაურეგულირებელია. მართალია, არსებობს კანონი „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მაგრამ იგი ბევრ ხარვეზსა და ბუნდოვან ნორმას შეიცავს, რაც კიდევ უფრო ართულებს აღნიშნულ სფეროში კონტროლსა და რეგლამენტაციას. დაფინანსების საკითხის გაუმჭვირვალობას, მეორე მხრივ, საკანონმდებლო ხარვეზების არსებობა განაპირობებს. არ არსებობს კანონი, რომელიც ცალკე, დეტალურად დაარეგულირებდა აღნიშნულ საკითხს. საარჩევნო კოდექსის მუხლები, რომლებიც არჩევნების დაფინანსებას ეხება, არ არის ამომწურავი და დეტალურად არ განსაზღვრავს პრობლემათა გადაჭრის გზებს.

საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლი აყალიბებს პრინციპს, რომლის თანახმადაც, საარჩევნო პროცესი, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა, არჩევნების მონაწილეთა დაფინანსების წყაროები და ოდენობა, არჩევნებისათვის განეული ხარჯი ღია და საჯაროა.

ეს ზოგადი დანაწესი, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფს იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც ამ პრინციპშია ჩადებული. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითებიც:

1) „საარჩევნო კოდექსის“ 43-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის დაფინანსებას ეხება, მიუთითებს: „საარჩევნო ადმინისტრაცია ცესკოს სახით უფლებამოსილია მიიღოს გრანტი კანონით უფლებამოსილი პირისაგან“. გაურკვეველია, რომელი კანონით უფლებამოსილ პირებზეა საუბარი. არც კოდექსი და არც სპეციალური კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, ვინ შეიძლება იყვნენ „კანონით უფლებამოსილი“ პირები. მეორეც, საერთოდ არ არის მონესრიგებული და აღნიშნული, თუ რა სახით, რა ოდენობით და რა მიზნით შეიძლება იქნეს მიღებული აღნიშნული „გრანტი“.

2) 46-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ე.წ. „საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა სავალდებულოა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის“. კოდექსი შეიცავს გამონაკლისებს ამ სუბიექტებთან დაკავშირებითაც. თუმცა აღნიშნული საარჩევნო კამპანიის ფონდის შექმნის, არსებობის, დაფინანსების წყაროების, ფინანსების განკარგვის მექანიზმის საკითხებიც აბსოლუტურად ბუნდოვანია.

3) ასევე ბუნდოვანია 47-ე მუხლში არსებული „საარჩევნო შემონირულობების“ საკითხი. საერთოდ არ არის კოდექსში აღნიშნული, თუ რა მიზნით შეიძლება მიიღოს საარჩევნო სუბიექტმა ეს „შემონირულობები“ და უნდა დაექვემდებაროს თუ არა დეტალურ საჯაროობას?

ჩემი აზრით, არ არსებობს კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად უდევს კოდექსში იმის განსაზღვრას, თუ ვისგან არ შეიძლება შემონირულობების მიღება. გაურკვეველია, რა ნიშნით მოხდა აღნიშნული დიფერენციაცია. გაუგებარია, რატომ არ შეიძლება, საარჩევნო სუბიექტი იღებდეს შემონირულობას არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან, თუმცა შეუძლია, შემონირულობა მიიღოს მაღალი რანგის საჯარო მოხელისაგან და ა. შ. ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნულ შემთხვევაში კრიტერიუმი კორუფციის ან ლობიზმის თავიდან აცილებას, რადგანაც ორივე შემთხვევაში პრინციპული ალბათობა საჯარო მოხელისაგან უფრო მოდის, ვიდრე კონკრეტული არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ფინანსებთან დაკავშირებულ პრობლემებს, ერთი მხრივ, გაურკვეველი წარმომავლობის პარტიებიც განაპირობებენ. ამის დასტურად ორი წლის (1998 და 1999) არჩევნების ანალიზიც შეგვიძლია მოვიყვანოთ: 1998 წელს, „ცესკოს“ ოფიციალური მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 16-მა პარტიამ, 5 მათგანი ორ საარჩევნო ბლოკში იყო გაერთიანებული (სულ 13 საარჩევნო სუბიექტი); ხოლო 1999 წელს კატასტროფული ზრდა დაფიქსირდა: არჩევნებში მონაწილეობდა 58 პარტია, რომელთაგან 39 საარჩევნო ბლოკში იყო გაერთიანებული.

ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს საარჩევნო სუბიექტთა პლურალიზმის მომხრე არ ვიყო, პირიქით, მიმაჩნია, რომ დემოკრატიული სისტემის შესაქმნელად ეს აუცილებელი წინაპირობაა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნება მაქსიმალური საჯაროობა და გამჭვირვალობა. რეალობა კი ასეთია: საქართველოში რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანებების ძირითადი ნაწილი ზოგიერთი ფინანსურად ძლიერი პარტიის სატელიტი პარტიებია და შექმნილი არიან კონკრეტულ არჩევნებზე პროცენტული მაჩვენებლის მანიპულირების მიზნით.

დასკვნის სახით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოითქვას რამდენიმე „სარეკომენდაციო“ წინადადება:

1) დეტალურად მონესრიგდეს პოლიტიკური გაერთიანებების საქმიანობის (მათ შორის დაფინანსების) საკითხები და მოექცეს იგი დემოკრატიულ სამართლებრივ ჩარჩოში;

2) კარგი იქნებოდა, მიგველო შეერთებული შტატების „ფედერალური საარჩევნო კამპანიის შესახებ“ კანონის მსგავსი ნორმატიული აქტი (რაშიც, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება მისი გადმონერა და აბსოლუტური იდენტურობა);

სტუდენტური ფორუმი

3) შეტანილ იქნეს დამატებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში, რომლითაც გათვალისწინებული იქნება საფინანსო საჯაროობასთან (უკანონო შემონიშნულობის მიღებისა და შემონიშნულობის დამალვისათვის) დაკავშირებული ნორმების დარღვევისათვის მკაცრი ადმინისტრაციულსამართლებრივი ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ასეთი დღევანდელი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული).

თათული თოდუა:

არჩევნების დაფინანსება არჩევნების ჩატარების წინაპირობაა, ამიტომ მის სამართლებრივ რეგულირებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და ხარჯების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება, ასევე, ცესკოს შეუძლია მიიღოს გრანტი კანონით უფლებამოსილი პირებისაგან. ცესკო საბიუჯეტო წლის დასაწყისში წარადგენს ხარჯების პროექტს, რის საფუძველზეც განისაზღვრება დაფინანსება. თუ საბიუჯეტო სახსრები დადგენილ ვადაში არ ჩაირიცხება ცესკოს ანგარიშზე, მას შეუძლია, სარჩელით მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ვფიქრობ, ეს მორიგი საკანონმდებლო ლაფსუსია. ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, უზენაესი სასამართლო საქმეებს განიხილავს მხოლოდ საკასაციო წესით. ამიტომაც, ვფიქრობ, კოდექსის ეს დებულება შესაბამისობაშია მოსაყვანი ქვეყანაში მოქმედ საპროცესო კანონმდებლობასთან.

კოდექსით განსაზღვრულია, რა ვადებში უნდა განხორციელდეს ფინანსების მოძრაობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცესკოს ანგარიშზე და შემდეგ ოლქებში (არჩევნებამდე არა უგვიანეს 55, 50 და 45 დღისა). ვფიქრობ, ეს ვადა არაა შესაბამისობაში მოყვანილი რიგგარეშე არჩევნებთან, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტის მიერ პარლამენტის ვადამდე დათხოვნისას. კონსტიტუციის თანახმად, ასეთ შემთხვევაში არჩევნები იმართება პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების ამოქმედებიდან არა უადრეს 45 და არა უგვიანეს 60 დღისა. ამრიგად, კონსტიტუციური და ორგანული კანონით დადგენილი ვადები შეუსაბამოა ერთმანეთთან.

კოდექსის თანახმად, საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს კომისიის სახელით განკარგავენ და განკარგვაზე პასუხისმგებელი არიან საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ბულალტერი. ამ ზოგად დანანეს თუ არ გავითვალისწინებთ, ორგანულ კანონში ასახულია ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიას შორის ურთიერთობა, ხოლო საოლქოსა და საუბნო საარჩევნო კომისიას შორის ურთიერთობა კოდექსის მიღმა რჩება. ვფიქრობ, ეს არ არის კარგი ტენდენცია.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიის ფონდს, აღსანიშნავია, რომ კოდექსი საკმაოდ უცნაურად განსაზღვრავს საარჩევნო სუბიექტების წრეს, რომელთათვისაც საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა არ არის სავალდებულო. ესენია: ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის, პარტიისა და ბლოკის მიერ წარდგენილი საქართველოს პარლამენტის წევრობის მაჟორიტარი კანდიდატი და სოფლისა და თემის საკრებულოს წევრობის კანდიდატი. სოფლისა და თემის საკრებულოს წევრობა, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ არის იმ რანგის თანამდებობა, რომ სახელმწიფოს ამ დონეზე დახარჯული ფინანსური სახსრების კონტროლის მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი ჰქონდეს. რაც შეეხება პარლამენტის წევრობის მაჟორიტარ კანდიდატს, - აქ კანონმდებლის ლოგიკა სრულიად გაუგებარი და გაუმართლებელია. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საარჩევნო კამპანიის ფონდის სავალდებულო წესით გახსნის ვალდებულება უნდა მოქმედებდეს.

სტუდენტური ფორუმი

საარჩევნო სუბიექტები შესაბამის საარჩევნო კომისიას არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს არჩევნების შემდგომ წარუდგენენ. უმჯობესი იქნებოდა, თუ დავანსებდით გარკვეულ წინასწარ ანგარიშებს და ფონდის გახსნიდან გარკვეული პერიოდების განსაზღვრით, მაგალითად, ყოველ კვირა, დავავალდებულებდით საარჩევნო სუბიექტებს, წარმოედგინათ თავიანთი ანგარიშები. ამით შესაძლებელი იქნებოდა უფრო ინტენსიური ფინანსური კონტროლი, როგორც არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდგომ.

კონტროლის გასამკაცრებლად საინტერესო იქნებოდა, შემოგველო საავალდებულო აუდიტორული დასკვნაც. ამით გაიზრდებოდა ანგარიშების პროფესიული და ზედმინევენითი კონტროლი. ასევე კარგი იქნებოდა, თუ ცესკოს ადმინისტრაციაში შეიქმნებოდა სპეციალური სამსახური, ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი, რომლის პირდაპირი ფუნქცია და მიზანიც სწორედ საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების კანონიერების შემოწმება იქნებოდა.

ნინო გერსამია:

საარჩევნო პროცესის სწორად, ობიექტურად წარმართვისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პოლიტიკური პარტიების წინასწარჩევნო კამპანიებისა და ზოგადად არჩევნების დაფინანსება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ არჩევნების დაფინანსება უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარებისა. აღნიშნული მოთხოვნა უნდა შესრულდეს ორ დონეზე:

პირველი მოიცავს საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას. ამ მიზნით საარჩევნო სუბიექტის მიერ მოზიდული ფულადი სახსრები საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს. ინფორმაცია ფონდში არსებული თანხის ოდენობის, წყაროს, აგრეთვე ყველა სახის ოპერაციის შესახებ დოკუმენტურად უნდა გაფორმდეს და ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის;

მეორე დონეზე აუცილებელია არჩეული წარმომადგენლობის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი არჩევნებამდე და მის შემდეგ. ჩემი აზრით, სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ ფინანსური გამჭვირვალობის პოლიტიკა საბიუჯეტო დაფინანსების მიმღები პოლიტიკური პარტიების მხრიდან.

ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს თანხების მიზნობრივ გახარჯვას. კოდექსი არ განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველი, ბუღალტერი თუ კოორდინატორი. ვფიქრობ, ზემოაღნიშნული პირები დიდ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ამიტომ ყოველი პირი არ შეიძლება ამ ფუნქციას ახორციელებდეს. უმჯობესი იქნება, თუ ფონდის მმართველიც, ბუღალტერიც და კოორდინატორიც გარეშე პირები იქნებიან, რომლებიც არ მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიაში და არ არიან დაინტერესებული შედეგით. ამით თავიდან იქნება აცილებული თანხების არამიზნობრივად გახარჯვა.

საინტერესოა ისიც, რომ ანონიმური შემონიშნულობები ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. ვინაიდან ეს თანხები სხვა მიზნით იყო გადმორიცხული. უმჯობესი იქნება ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც უბრალოდ არ მიიღებდა ანონიმურ შემონიშნულობებს.

კანონში მოცემულია იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებისგანაც დაუშვებელია ფონდებში შემონიშნულობების მიღება. ერთ-ერთი ასეთი სუბიექტია მოქალაქეობის არმქონე პირი. ჩემი აზრით, გაუმართლებელია მოქალაქეობის არმქონე პირისათვის ამ უფლების ჩამორთმევა. ასევე არასწორად მიმაჩნია ამ უფლების ჩამორთმევა არასამენარმეო იურიდიული პირისა და

სტუდენტური ფორუმი

რელიგიური ორგანიზაციისათვის. დანარჩენი პირებისათვის მსგავსი აკრძალვა გასაგებია, რადგან მათთვის ამ უფლების მინიჭება სახელმწიფოს საქმეებში ჩარევა იქნებოდა, რაც არ არის მიზანშეწონილი.

საარჩევნო კოდექსში არაფერია ნათქვამი საარჩევნო კამპანიის წევრის მიერ ფონდში შესატან სახსრებზე. ჩემი აზრით, მათ უნდა ჰქონდეთ ფონდებში სახსრების შეტანის უფლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ ანგარიშზე არსებული ნაშთი შემტან პირებს უბრუნდებათ შეტანილი ფულადი სახსრების პროპორციულად. უმჯობესი იქნებოდა, ეს თანხები სახელმწიფოს ბიუჯეტში ჩარიცხულიყო, მსგავსად ანონიმური შემონიშნულობებისა.

არჩევნების საჯაროობა

ანა საბატარიშვილი:

საჯაროობის პრინციპებიდან გამომდინარე, არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ საქართველოს ცენტრალურ ან შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს; ხოლო საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლებს.

არჩევნების მონიტორინგს ბოლო პერიოდში დემოკრატიულ გარდაქმნებსა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში სერიოზული როლი დაეკისრა, ვინაიდან საზოგადოებრივი ნდობის დამყარება საარჩევნო პროცესებისა და ინსტიტუტებისადმი ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ნორმალური არსებობის უმთავრესი პირობაა.

არჩევნების პროცესის სრულყოფისა და მონიტორინგის დანიშნულების რეალური განხორციელებისათვის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიეცათ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს რეკომენდაციები არჩევნების შეფასებისათვის.

ბიუროს რჩევით სადამკვირვებლო ორგანიზაციამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოახდინოს საერთაშორისო სტანდარტებისადმი არჩევნების შესაბამისობის დადგენა. საერთაშორისო სტანდარტები არის ზოგადი პრინციპები, რომელთა დაცვაც ევალება თავად სახელმწიფოს, მაგალითად:

1) არჩევნების პერიოდულობა (ინტერვალები არჩევნებს შორის არ უნდა სცილდებოდეს ზომიერ ფარგლებს);

2) არჩევნების ნამდვილობა (დაკავშირებული ამომრჩევლისათვის რეალური არჩევანის არსებობასთან. იგულისხმება, რომ არჩევნები არ უნდა ტარდებოდეს უალტერნატივო საფუძველზე და არ უნდა არსებობდეს რაიმე დაუსაბუთებელი ბერკეტი პარტიების ფორმირებისა და მათი საქმიანობის განხორციელებისათვის);

3) თავისუფალი არჩევნები (ადამიანთა უფლებები დაცულია როგორც არჩევნებამდე, ასევე არჩევნების პერიოდშიც და მერეც. პრესას უნდა ჰქონდეს საარჩევნო კამპანიისა თუ სხვა პროცესების გაშუქების, ხოლო სამოქალაქო ორგანიზაციებს თავისი საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების საშუალება);

4) სამართლიანი არჩევნები (ყველა კანდიდატი თანაბარი პირობებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. კანონი არ უნდა უშვებდეს დისკრიმინაციას);

სტუდენტური ფორუმი

5) საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება (ყველა მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია გარკვეულ ასაკს, დისკრიმინაციის გარეშე მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ასევე არსებობდეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის ეფექტიანი და სამართლიანი სისტემა);

6) კენჭისყრის ფარულობა (ამომრჩეველმა უნდა შეავსოს ბიულეტენი დამოუკიდებლად, სპეციალურად დამონტაჟებულ, იზოლირებულ სივრცეში).

შეფასების მეორე სისტემა – ეს არის არჩევნების ნაციონალურ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. უნდა მოხდეს ჯერ კონსტიტუციის, შემდგომ კი სხვა სპეციალური ნორმების ანალიზი და ამ კანონებში მოცემული სტანდარტების დაცვის მონიტორინგი. არჩევნების ანალიზისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმას, თუ რამდენად განსხვავებულია ის თავისი წინამორბედებისაგან. მოხდეს შედარება, პროგრესისა და რეგრესის დადგენა ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების ანგარიშების მიხედვით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი მონიტორინგის ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული კავშირი (ასოციაცია), ფონდი, რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალურ ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში და რომლის წესდება ან დებულება რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან ადამიანის უფლებების დაცვას.

ჩემი აზრით, ეს მუხლი ბუნდოვანია და რეალურად ვერ მოახდენს თავისი ერთ-ერთი ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფას ანუ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის სატელიტი ორგანიზაციების განრიდებას საარჩევნო პროცესისაგან. ნებისმიერმა ორი ან მეტი წლის წინ დაფუძნებულმა ორგანიზაციამ, რომელიც შექმნილი იყო რადიკალურად განსხვავებული საქმიანობისათვის და ამ მომენტისათვის მხოლოდ ფორმალურად არსებობს, შესაძლოა, რომელიმე პოლიტიკური ძალის დაკვეთით, სპეციალურად ცესკოში რეგისტრაციისათვის შეიცვალოს წესდება, ჩაწეროს მასში „ადამიანის უფლებების დაცვა ან არჩევნების მონიტორინგი“ და თავისი არაობიექტური დამოკიდებულებით მონიტორინგის ნაცვლად ხელი შეუშალოს არჩევნების დემოკრატიულ პროცესს.

ჩემი აზრით, აღნიშნულ მუხლში ნათლად უნდა აისახოს, რომ დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს რეგისტრირებული კავშირი (ასოციაცია), ფონდი, რომლის წესდებაც ცესკოში რეგისტრაციამდე 2 წლის განმავლობაში მაინც ითვალისწინებდა არჩევნების მონიტორინგს ან ადამიანის უფლებების დაცვას.

მსგავსი მოთხოვნა უნდა არსებობდეს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციისთვისაც, რადგანაც სავსებით რეალურად მიმართა დაინტერესებული ძალების მიერ უშუალოდ არჩევნებამდე შესაფერისი წესდების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის რეგისტრაციისათვის ხელის შეწყობა.

ლონდა თოლორაია:

დემოკრატიული მმართველობის არსი თავისთავად მოითხოვს, რომ ელექტორატს, საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება. ეს კი მოითხოვს, რომ მასმედია იქცეს განსხვავებულ აზრთა შესახებ მსჯელობის ტრიბუნად. სამაუწყებლო კომპანიებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საარჩევნო პროცესის დაბალანსებულ გაშუქებაში.

ჟურნალისტიკის თეორია განასხვავებს მაუნყებლობის სამ „იდეალურ ტიპს“, სამ ინსტიტუციურ ფორმას – სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კომერციულ მაუნყებლობას. თუმცა თვალი უნდა გავუსწოროთ მაუნყებლობის მეოთხე ტიპის განვითარებას – ეს არის პოლიტიკური მაუნყებლობა, რომელიც მოქმედებს პოლიტიკური ზეგავლენის მოსახდენად, რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ ან საზიანოდ. ამგვარ მაუნყებლობას შეიძლება ახორციელებდეს ფორმალურად კომერციული არხი – მით უმეტეს, თუ იგი ფინანსურად არაა მომგებიანი, ან სახელმწიფო არხი, თუკი იგი პოლიტიკურ ზეწოლას განიცდის.

კანონმდებლობა არჩევნების გაშუქების შესახებ არ უნდა იყოს დაუსრულებელი დავის საგანი. პლურალიზმი, სარედაქციო დამოუკიდებლობა და ჟურნალისტური პროფესიონალიზმი საყოველთაო მოთხოვნებია. ამავე დროს, პრესის თავისუფლებასაც უნდა ჰქონდეს საზღვრები. ასეთი შეზღუდვები მოიცავს არა მხოლოდ ისეთ საზოგადო აკრძალვებს, როგორებიცაა სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის ნორმები რასისტული, ცილისმწამებლური თუ სხვა უკანონო პუბლიკაციების გამო, არამედ უშუალოდ არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებულ დებულებებსაც.

ზოგიერთ ქვეყანაში არჩევნების გაშუქება საგანგებო წესებით რეგულირდება. ეს წესები, ჩვეულებრივ, მოცემულია მაუნყებლობისა და არჩევნების შესახებ კანონებში ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცემულ სპეციალურ მითითებებში. საფრანგეთის ტელემაუნყებლობის უმაღლესი საბჭო არა მხოლოდ გამოსცემდა რეკომენდაციებს, არამედ ზედმინეწებით აკონტროლებდა მათ შესრულებასაც. იყო შექმნილი სპეციალური ჯგუფი (1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ), რომელიც თვალს ადევნებდა ყოველდღიური ახალი ამბების 30 პროგრამას და 40 გაზეთისა თუ ჟურნალის საქმიანობას. მონიტორინგი ხორციელდებოდა როგორც რადიო-ტელევიზიური (ეთერში გასვლს დრო, კანდიდატის მხარდამჭერი გადაცემები), ისე ხარისხობრივი კრიტერიუმებით (დამოკიდებულება კანდიდატებისადმი). მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ხდებოდა პერიოდული რეკომენდაციების მინოდება ტელეკომპანიისათვის და მონოდება წესების დაცვისაკენ.

ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან. ამ მიზნით უნდა იქნეს შემუშავებული ერთიანი მიუკერძოებელი პოლიტიკა. ყველასათვის თანაბრად უნდა იქნეს ხელმისაწვდომი ბეჭდვითი, ელექტრონული- და ტელემედია – იქნებინ ისინი ფინანსურად ძლიერი თუ არაუზრუნველყოფილი პარტიები. აღსანიშნავია ისიც, რომ სარეკლამო დროის მაღალი ფასები აძვირებს წინასაარჩევნო კამპანიებს და ზრდის პოლიტიკური კორუფციის ალბათობას. ტელეარხების რადიო-ტელევიზიის შეზღუდულობა, მათი პოლიტიკური მიკერძოებულობის ფონზე, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს.

რაც შეეხება რეკლამის შინაარსს, ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური წესები არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, ბელგიაში პოლიტიკური რეკლამა პოზიტიური შინაარსის უნდა იყოს და არ უნდა ახდენდეს სხვა პარტიების დისკრედიტაციას. იმ ქვეყნებში კი, სადაც შინაარსთან დაკავშირებული მოთხოვნები არ არსებობს, პოლიტიკური რეკლამა არ უნდა შეიცავდეს არაკორექტულ ბრალდებებს. გერმანიაში დეტალურადაა დარეგულირებული უფასო პოლიტიკური რეკლამის წინასწარი შემოწმების საკითხი.

ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა თანამდებობის პირთა უპირატესი მდგომარეობა სხვა კანდიდატებთან შედარებით საარჩევნო პროცესში. როგორც წესი, ისინი სარგებლობენ მეტი საეთერო დროით, ტელეეკრანზე ხშირი გამოჩენის უპირატესობით. არ უნდა მოხდეს აღრევა იმ სახელმწიფო მოვლენათა, რომელნიც ამ თანამდებობის პირის „სამსახურებრივ მოვალეობას“ უკავშირდება, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხებთან, რაც ხშირად ხდება დაკავებული თანამდებობის შენარჩუნების მიზნით.

სტუდენტური ფორუმი

ევროპის ყველა ქვეყანაში სატელევიზიო მაუწყებლობის მთავარი საკითხების რეგულირების უფლებამოსილება ე.წ. დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებს აქვთ მინიჭებული. ამ ორგანოებს შემდეგი მოვალეობები აქვთ: სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემა, მაუწყებლობის საქმიანობაზე ზედამხედველობა, სხვადასხვა ნორმატიული აქტების მიღება. ზოგჯერ მათ კვაზი სასამართლო ორგანოების ფუნქციაც აკისრიათ, როგორცაა, მაგალითად, ტელემაყურებელთა საჩივრის განხილვა. იმისათვის, რომ მოხდეს საარჩევნო პროცესის ნორმალური განვითარება, საჭიროა საარჩევნო პროცესის გაშუქებაზე მუდმივი კონტროლი და დაკვირვება. კანონმდებლობა, წესები, ვალდებულებები და მოვალეობები ვერ იქნება ეფექტური, თუ არ არსებობს მათი განუხრელი დაცვის მექანიზმი. მარეგულირებელმა ორგანომმა თავისი ფუნქციები რომ სრულყოფილად განახორციელოს, მხოლოდ კანონმდებლობით უზრუნველყოფილი დამოუკიდებლობა არ არის საკმარისი. აუცილებელია, იგი რეალურად არსებობდეს – დამოუკიდებელი უნდა იყოს ხელისუფლების სამივე შტოსაგან. ამიტომ მისი დაკომპლექტება სასურველია მოხდეს შერეული წესით: პარლამენტისა და მთავრობის მიერ და, შეიძლება, ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოებაც იყოს ჩართული. კანდიდატების შერჩევა უნდა მოხდეს პოლიტიკურად დამოუკიდებელი პირებისაგან, რათა გამოირიცხოს მარეგულირებელ ორგანოზე პოლიტიკური გავლენის საფრთხე.

ამომრჩევლის ხმის დაცვის მექანიზმები

ანა საბატარიშვილი:

მთელი პასუხისმგებლობის დაკისრება ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ჩვენს უახლოეს ისტორიაზე, რომელმაც არც კი იცოდა, თუ რა იყო დემოკრატიული არჩევნები, ვერ შეგვიძინა გამოცდილება, ვერ გვასწავლა, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ სულ მცირე პრობლემებსაც კი. მან მხოლოდ ორი ცუდი ჩვევა დაგვიტოვა: პირველი – ამომრჩეველთა ნაწილის სრული ინდიფერენტულობა არჩევნებისადმი, რადგან მათ ჰგონიათ, და არა უსაფუძვლოდ, რომ მათი ხმა რეალურად შეიძლება ვერც მიდიოდეს ადრესატამდე და მეორე – საარჩევნო სუბიექტების სურვილი, შემოვლითი გზებით გაიმარჯვონ არჩევნებში.

მამინ, როდესაც სხვა ქვეყნის პოლიტიკური პარტიები აქცენტს აკეთებენ წინასაარჩევნო კომპანიებზე და უზარმაზარ თანხას ხარჯავენ ამომრჩეველთა გულის მოგებასა და მათ მოზიდვაზე, საქართველოში მილიონობით ლარი იხარჯება თავად არჩევნებზე, მათ გაყალბებასა და სხვა არაკანონიერი გზებით მოგებაზე. ქართველი ამომრჩეველი კი თავისი პასიურობისა თუ პესიმისტური დამოკიდებულების გამო კენჭისყრაზე არმისვლით სხვადასხვა ძალას თავისი ხმით მანიპულირების დამატებით საშუალებას აძლევს.

საქართველოში კი საკანონმდებლო ორგანოს, თავისი ორგანული კანონით, თუ საარჩევნო ადმინისტრაციას, თავისი დადგენილებით, სხვა გზა არ დარჩენია. მან უნდა შეიმუშავოს მაქსიმალურად ეფექტიანი თავდაცვის მექანიზმები არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისა, რომლებიც ძალზე ხშირად მხოლოდ და მხოლოდ აძნელებს გაყალბების პროცედურას და ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მის სრულ პრევენციას.

ამიტომ დიდი ყურადღება ეთმობა იმ დაცვის მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუშლიან ამ პროცესს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულ ყოველ ახალ არჩევნებზე ხდებოდა სულ ახალ-ახალი მექანიზმის დემონსტრირება. ამომრჩეველთა მარკირების ნორმამ დიდი რეზონანსი გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობის ტალღის გაჩენა განაპირობა იმ ქორმა, რომ მარკირება აჩენს კანის ავთვისებიან სიმსივნეს, მეორე მოსაზრების მიხედვით კი, მარკირების პროცედურა იდენტური იყო სატანისტური რიტუალისა და ამიტომ მარკირებულ ადამიანს ეკრძალებოდა ზიარების მიღება. ამ ეჭვების გასაქარწყლებლად ყოველ საარჩევნო უბანზე დაკიდეს საპატრიარქოს

დასტური, რომ მარკირება „არასატანისტურია“. ჯანდაცვის უწყებამ კი, თავის მხრივ, დაინყო მტკიცება, რომ მარკირების სითხე ნამდვილად უვნებელია ჯანმრთელობისათვის. შესაბამისად, არჩევნების დღეს მოსულ ამომრჩევლებს შორის ნაკლები იყო ისეთი ხალხი, რომელთაც ეშინოდათ მარკირებისა. რა თქმა უნდა, არსებობდა რალაც კატეგორია, რომელთაც დიდი არეულობა შეჰქონდათ უბანზე თავიანთი პროტესტით, თუმცაღა ამის მიზეზი შიშსა და არა პრაგმატულობაში უნდა ვეძიოთ.

ორგანული კანონის თანახმად, ამომრჩეველი მარკირების შემონმების პროცედურას გადის კენჭისყრის ოთახში შესვლისას კომისიის შესაბამის წევრთან (კერძოდ კი ნაკადის მარეგულირებელთან), რომელიც სპეციალური ხელსაწყოთი აშუქებს მარკირების ადგილს და მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს მარკირება არ აღენიშნება, აძლევს მას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას.

სამწუხაროდ, მოცემული ნორმა საშუალო დონეზეც კი ვერ სრულდება. ზოგიერთ საარჩევნო უბნებზე მარკირება ფორმალურ ხასიათს ატარებს და ნაკადის მარეგულირებელი რეალურად ვერ არკვევს, აქვს თუ არა გავლილი ამომრჩეველს მარკირება.

საარჩევნო ბიულეტენის, და მისი რეკვიზიტების მიღებისაგან განსხვავებით, მარკირების პროცედურის შემონმებას ახორციელებს მხოლოდ ერთი ადამიანი, ხშირ შემთხვევაში პარტიული მოხელე, რომელიც, დიდი ალბათობაა, იყოს განსაზღვრული (უკვე მარკირებული) პირების მეშვეობით დაინტერესებული.

შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ მარკირებამ რეალურად იმუშავა მხოლოდ მისი პირველად გამოყენების დღის პირველ ნახევარში, მეორე ნახევარში კი სხვადასხვა დაინტერესებული პოლიტიკური ძალის მხრიდან უკვე იოლად გაიშიფრა მისი უარყოფითი მხარეები. თითო არჩევნებზე 2800 უბნისათვის მარკირების აპარატი და სითხით უზრუნველყოფა უზარმაზარი დანახარჯია, რაც არაა გამართლებული, ვინაიდან მარკირება რეალურად ვერ ახორციელებს მისთვის დაკისრებულ დაცვის მექანიზმის ფუნქციას.

ამომრჩეველთა მარკირების გარდა შემოღებულ იქნა კიდევ ერთი დამცავი საშუალება არჩევნების გაყალბებისაგან – სპეციალური კონვერტი. თითოეულ საარჩევნო უბანს ბიულეტენებთან ერთად მიეწოდება სპეციალური კონვერტები, რომელთა რაოდენობაც ტოლია საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისა.

კონვერტის არსის გასარკვევად უნდა ჩამოითვალოს მისი უარყოფითი და დადებითი მხარეები. იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ და ყველა უბნის ბიულეტენს მინერილი აქვს თავისი ნომერი, ხშირი იყო შემთხვევა უბნის ტერიტორიაზე ამ უბნის ბიულეტენების ზუსტი ასლისა და, აგრეთვე, სხვა უბნების ბიულეტენის შემოტანისა. შეტანილი და ამ უბანზე მიღებული ბიულეტენები იდებოდა ერთმანეთში და ძალიან მარტივად ხდებოდა სხვადასხვა პირის მიერ მათი საარჩევნო ყუთში ჩაყრა. ამის აღსაკვეთად გაჩნდა მოთხოვნა, რომ ბიულეტენი ყუთში ჩაყრილიყო მხოლოდ სპეციალურ კონვერტში მოთავსების შემდეგ. რა თქმა უნდა, პირს, რომელმაც იშოვა ბიულეტენი, გააკეთებინა (ან გააყალბებინა) მასზე 2 ხელმოწერა და ბეჭედი, ასეთივე წარმატებით შეუძლია იშოვოს სპეციალური კონვერტიც. თუმცა შანსი იმისა, რომ კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეს რეგისტრატორთან და მეორე ხელმომწერთან ერთად წარმოადგენს ასევე კონვერტის გამცემიც, მინიმალურია.

ასევე აღსანიშნავია, რომ პარტიული წარმომადგენლისა და დამკვირვებლისათვის მარტივია იმის დანახვა, თუ რამდენი კონვერტი უჭირავს ამომრჩეველს ხელში, ხოლო უკონვერტო, ერთმანეთში ჩადებული ბიულეტენის შემთხვევაში, მათი ხელში აღებით გადამონმების გარეშე (კომისიის წევრის ამომრჩეველის ბიულეტენთან ფიზიკური კონტაქტით კი დგას საშიშროება არჩევნების ფარულობის დარღვევისა), რეალობის დადგენა რთული იყო.

სტუდენტური ფორუმი

არსებობს მოსაზრება, რომ ამომრჩევლის მიერ არჩევანის გაკეთების შემდეგ მის ბიულეტენს აღარავინ აღარ უნდა შეეხოს, ვინაიდან ბეჭდის დამრტყმელისა და კონვერტის მიმცემის მხრიდან ხშირად ხდება თავისი მოვალეობის გადამეტება: ისინი ცდილობენ დაინახონ, თუ ვის მისცა ხმა კონკრეტულმა ამომრჩეველმა (რასაც ხშირად იოლად ახერხებენ ბიულეტენის გაშლის გარეშეც, ვინაიდან ბიულეტენი არცთუ ისე სქელი, გამჭვირვალე ქაღალდია. შესაბამისად, ურტყამენ ან არ ურტყამენ არჩევნების პროცედურაში გაუცნობიერებელ ამომრჩეველს ბეჭედს. ბეჭდის გარეშე საარჩევნო ყუთში ჩავარდნილი ბიულეტენი კი ბათილია. ამავე დროს, ირღვევა არჩევანის ფარულობის პრინციპი.

არგუმენტები იმისა, რომ ამომრჩეველს კაბინაში შესვლამდე მიეცეს კონვერტი, რათა იგი არჩევანის გაკეთების შემდეგ აღარ იყოს დამოკიდებული რომელიმე კომისიის წევრის კეთილ ნებაზე, მყარია, მაგრამ არსებობს ასეთივე სერიოზული კონტრარგუმენტიც: საარჩევნო სუბიექტს, რომელმაც თავისი წინასწარი მონაცემით იცის, რომ ამ უბანზე იგი ვერ აგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას და ჰყავს რამდენიმე მხარდამჭერი ამ უბანზე, ავალებს მათ, კაბინებიდან გამოიტანონ კონვერტი, ჩააგდონ იგი ყუთში, ხოლო ბიულეტენი წამოიღონ უბნიდან. არჩევნების შეჯამების შემდეგ აღარ დაჯდება ბალანსი და მოცემული უბნის შედეგები შეიძლება შემდგომში ბათილად გამოცხადდეს. ასევე შეიძლება ბიულეტენის მოპარვა ე.წ. „კარუსელის“ დატრიალებისათვის.

პასუხისმგებლობა საარჩევნო სამართალში

ნატო ქიტიაშვილი:

იურიდიული პასუხისმგებლობა არის დამოუკიდებელი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების სამართლებრივი გარანტი. იგი გულისხმობს სამართლებრივი ნორმების დამრღვევის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენებას, მათი უფლებების საპასუხო შეზღუდვას პირად თუ ქონებრივ სფეროში. პასუხისმგებლობის სამართლებრივ ზომად გვევლინება საარჩევნო თუ სხვა კანონმდებლობით დადგენილი სანქციები.

საარჩევნო ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ნებისმიერ სახეს აქვს ნორმატიული და ფაქტობრივი საფუძველი. ნორმატიული საფუძველი თვით სამართლის ნორმას, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ამა თუ იმ ზომას; ფაქტობრივი საფუძველი კი გულისხმობს პირის მიერ ჩადენილი კონკრეტული სამართალდარღვევისათვის იძულებითი ღონისძიების სწორად შერჩევის ფაქტს.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულად არეგულირებს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს და გვთავაზობს პრობლემათა გადაჭრის თავისებურ პროცესუალურ მეთოდს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე ქვეყნის მაგალითი:

რუსეთის ფედერაციაში საარჩევნო სამართალში პასუხისმგებლობას კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევენ. სათანადო უფლებამოსილების მქონე პირის მხრიდან ნორმის მოთხოვნათა დარღვევისას გამოიყენებენ შემდეგ ზომებს:

- ა) კომისიის (იგულისხმება ცენტრალური, საუბნო და საარჩევნო კომისიები) დაშლა;
- ბ) კანდიდატისათვის საარჩევნო გაერთიანებისა და ბლოკისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმა;
- გ) რეგისტრაციის გადადება;
- დ) კანდიდატის სიიდან ამოშლა.

ამასთან, პასუხისმგებლობის ბოლო სამი ზომა არ გამოიყენება, თუ აღმოჩნდა, რომ კანდიდატის რეგისტრაციისათვის აუცილებელ ხელმოწერთა რაოდენობა არ არის სახეზე. სრულიად ვეთანხმები რუსი კანონმდებლის ამ დათქმას, ვინაიდან ამ შემთხვევაში პირი საარჩევნო ნორმას კი არ არღვევს, არამედ თავისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ ახერხებს, შეასრულოს აუცილებელი პირობა ნორმით დადგენილი უფლებით სარგებლობისათვის. ეს კი, პირველ რიგში, თვით პირისათვის იწვევს უარყოფით შედეგებს (უარი რეგისტრაციაზე და ა.შ.).

კანონი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ნუსხას, რომელსაც შედეგად მოჰყვება ესა თუ ის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ღონისძიება. საარჩევნო კომისიას კანდიდატისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის უფლება აქვს, თუ:

- 1) მან დაარღვია საარჩევნო ფონდის შექმნისა და ფულადი სახსრების გამოყენების წესი;
- 2) მისი მხრიდან დაფიქსირდა რეგისტრაციამდე საარჩევნო აგიტაციის ფაქტი;
- 3) მისი მხრიდან აღინიშნა ამომრჩევლების მოსყიდვა. ეს უკანასკნელი იმ ქმედებათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, რომლისთვისაც შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს როგორც კონსტიტუციურსამართლებრივი, ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა. ვინაიდან სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება – მოსყიდვა, რომელშიც იგულისხმება ფულადი თანხის ან მატერიალური ღირებულების მქონე ნივთის გადაცემა პირისათვის, რაიმე მოქმედების შესრულების მიზნით:
- 4) საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისათვის გამოიყენა საარჩევნო ფონდიდან კანონმდებლობით დადგენილი ფულადი რესურსების 0,5%-ზე მეტი (საპრეზიდენტო არჩევნებისას);
- 5) არ წარადგინა პირველი საფინანსო ანგარიში;
- 6) არჩევნების წინ ბოროტად გამოიყენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დრო – ენეოდა ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას, ავრცელებდა კანონით აკრძალულ ინფორმაციას;
- 7) ჩაატარა საქველმოქმედო აქცია და ფულადი თანხების მიღების მიზნით გასცა წინასაარჩევნო დაპირებები (დახმარების მიღების შემდგომი საპასუხო შესრულების პირობით);
- 8) ფონდის ფულადი სახსრები არამიზნობრივად დახარჯა.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის იდენტური საფუძვლებია ჩამოთვლილი, როცა საჭიროა კონსტიტუციურსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა ღონისძიების გამოყენება.

განსხვავებით რუსეთის კანონმდებლობისაგან, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა სამ ნაწილად ყოფს იმ პირთა წრეს, რომელთა პასუხისმგებაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესით არის შესაძლებელი:

- 1) კანდიდატი, საარჩევნო ბლოკი თუ გაერთიანება, მათი წარმომადგენელი, დამკვირვებელი;
- 2) საარჩევნო კომისია;
- 3) საარჩევნო ადმინისტრაციის სუბიექტები, რომლებიც არღვევენ საარჩევნო კანონმდებლობას (იგულისხმებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებიც), თუ:
ა) დაარღვევენ ამომრჩეველთა კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებას, რასაც თან ახლავს ცესკოს აღიარება (საუბარია ცესკოს მხრიდან ამ ფაქტის არსებობის დადასტურებაზე); ბ) არ შეასრულებენ ცესკოს, საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების, ასევე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ცალკეული სახის პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის კანონმდებლობა ამ მხრივ გაცილებით მრავალფეროვანია და ითვალისწინებს როგორც რეგისტრაციაზე უარის თქმას, ასევე კანდიდატთა რეგისტრაციის გადადებას, ხმების ბათილად ცნობას, კანდიდატის არჩეულად აღიარების შეცვლას, საარჩევნო კომისიის დაშლას, არჩევნების შედეგების გაუქმებას.

განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება დიდი ბრიტანეთის საარჩევნო ნორმები, რომლებიც უფრო მასშტაბურად განიხილავენ მოთხოვნათა დარღვევის პრობლემას და ამ ფაქტს პირდაპირ სისხლისსამართლებრივ დარღვევას უკავშირებენ. დანაშაულის ჩადენა ნორმის მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაშიც კი საარჩევნო უფლებით სარგებლობის შეზღუდვის საწინდარია. მაგალითად, კორუფციულ დანაშაულში მხილებული პირი ვერ ისარგებლებს პასიური საარჩევნო უფლებით. არჩეული კანდიდატი კი დანაშაულის დადასტურებისთანავე ტოვებს პარლამენტს. წევრის მიერ თანამდებობის დატოვება, ჩემი აზრით, დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომასთან. პირი არსებითად თანამდებობას ტოვებს იმიტომ, რომ დანაშაულებივი ქმედების დადასტურებისას სათანადო წესით აგოს პასუხი. თანამდებობიდან გათავისუფლება არის საშუალება, სასურველი მხრიდან მივიდეთ სასურველ შედეგამდე. თუმცა, თუ საკითხს მეორე კუთხით შევხედავთ, შეიძლება, კონსტიტუციურსამართლებრივ პასუხისმგებლობაზეც ვისაუბროთ, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება პირის დანაშაულებრივ ქმედებას.

მექსიკის კანონმდებლობაში გვხვდება არჩევნების ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება საარჩევნო სუბიექტების მიერ ჩადენილ დანაშაულებივ ქმედებებს. ამ ქმედებათა საფუძველზე კონკრეტული პირის მიმართ როგორც კონსტიტუციურსამართლებრივი, ისე სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება ხდება. არჩევნები ძალადაკარგულად გამოცხადდება, თუ:

- ა) საარჩევნო პუნქტი (უბანი) არასაპატიო მიზეზით გაიხსნა ისეთ ადგილას, სადაც მისი გახსნა არ იყო გათვალისწინებული;
- ბ) ამომრჩეველთა მიმართ ფიზიკური ძალადობა განხორციელდა;
- გ) მოისყიდეს კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის ცნობადი სახეები ან ხელისუფლების წარმომადგენლები (რაც საბოლოოდ აისახება ამა თუ იმ კანდიდატის ხმების რაოდენობაში);
- დ) ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელდა ზენოლა საარჩევნო კომისიის წევრებზე;
- ე) დაუშვეს შეცდომა ან მოხდა მასობრივი გაყალბება ხმების დათვლისას;
- ვ) არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი ხელოვნურად გაიზარდა დამატებით სიებში მინიმუმ 10%-ით;
- ზ) ხმები დაითვალეს იმ ადგილას, სადაც მათი დათვლა დაუშვებელი იყო;
- თ) ისეთმა პირმა გასცა ბიულეტენები, რომელსაც საამისო უფლებამოსილება არ გააჩნდა;
- ი) მიიღო ბიულეტენი საამისოდ არაუფლებამოსილმა პირმა;

კ) საარჩევნო უბანზე პირისა თუ ორგანიზაციის მხრიდან განხორციელდა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მიზნად ისახავდა, მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ჰყოლოდა დადგენილზე მეტი წარმომადგენელი.

თუ ამ კონკრეტული ქმედებებიდან რამდენიმე ერთდროულად აღინიშნა, შეიძლება საჭირო გახდეს მთლიანი შედეგების ძალადაკარგულად გამოცხადება. ძირითადად ეს მაშინ ხდება, როდესაც კონკრეტულ პირთა დანაშაულებრივი ქმედებების გამო შეუძლებელია საარჩევნო პროცესის ნორმალურად წარმართვა და, შესაბამისად, რეალობასთან ყველაზე უფრო ახლოს მყოფი შედეგის მიღება. ამ შემთხვევაში არჩევნების ბათილობა გაცილებით უაყოფით შედეგს იძლევა სახელმწიფოსათვის, ვიდრე კონკრეტული პირების თაღლითობა თუ მათი მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი ფაქტები.

საქართველოს საარჩევნო კოდექსში არაერთი ნორმა გვხვდება, რომელნიც პირდაპირ მიუთითებენ შესაბამისი უფლებამოსილი პირის მხრიდან ნორმის დარღვევისას შესაბამის ღონისძიებაზე. ნორმით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლება-მოსილი პირისა თუ ორგანოს მხრიდან ხორციელდება ღონისძიებები უფლების შეზღუდვისა თუ

სტუდენტური ფორუმი

ამ უფლებით სარგებლობის აკრძალვის მიზნით. ამ ღონისძიებებში იგულისხმება კონსტიტუციურსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მაგალითად, 59-ე მუხლის I „გ“ პუნქტი ითვალისწინებს ბიულეტენების ბათილად მიჩნევას, თუ იგი სპეციალური კონვენტის გარეშე აღმოჩნდება; თუ პირი არ დაიცავს ბიულეტენის კონვენტში ჩადების აუცილებელ წესს, მისთვის სასურველ კანდიდატს ვერ მიუვა მისი ხმა, რაც არ შედის პირის ინტერესებში. 61-ე მუხლი პირდაპირ საუბრობს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვალდებულებაზე, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურისას არსებულ დაღვევებზე (საჩივარზე) და აღმოფხვრას იგი. აქ სრულიად სამართლიანადაა მითითებული საჩივრის ადრესატი, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიაში არსებულ დარღვევებზე სწორედ მან უნდა იმსჯელოს და მიიღოს ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. კოდექსის 69-ე V მუხლში აღნიშნულია საუბნო საარჩევნო კომისიის უფლება, დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, თუ იგი არ დააკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კოდექსი ითვალისწინებს ისეთი სახის კონსტიტუციურსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელთა განხორციელების უფლებაც აღმოცენდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამდენად, მართალია, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ცალკე კონსტიტუციურსამართლებრივი პასუხისმგებლობის დეფინიციას, მაგრამ საარჩევნო კოდექსის ნორმები გვაძლევს საფუძველს, დავამკვიდროთ ეს ტერმინი იურიდიულ ლიტერატურაში. ასევე, მიზანშეწონილი იქნებოდა, საარჩევნო კოდექსში ცალკე თავი გვექონოდა, რომელიც ისაუბრებდა კონსტიტუციურსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომებსა და მათი შეფარდების უფლებამოსილების მქონე პირებზე, დაამკვიდრებდა კონსტიტუციურსამართლებრივი დელიქტისა და მისი ჩამდენი პირების კანონისმიერ დეფინიციას.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება საარჩევნო დავებზე

შოთა კვაჭანტირაძე:

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5-ს და სახალხო დამცველს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები დაინიშნა კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-7 პუნქტის, მე-10 პუნქტის ან 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, ან არ დაინიშნა ამავე მოთხოვნათა მიუხედავად, ანუ თუ დარღვეულია პრეზიდენტის ხელახალ, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას 45 დღეში არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებული მოთხოვნები, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნისას დარღვეულია კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები, არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა.

რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევნების გამართვის კონსტიტუციურობას, ამ საფუძველით საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5-ს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის ან 70-ე მუხლის დარღვევით (თუ პრეზიდენტის არჩევნების გამართვისას დარღვეულია: კონსტიტუციით დადგენილი ამომრჩეველთა კორპუსის ქვედა ასაკობრივი ზღვარი, თავისუფალი არჩევნების პრინციპი და განხორციელებულია ამომრჩეველთა ნებაზე უკანონო ზემოქმედება, არჩევნები გამართულია იმ პრინციპის დარღვევით, რომლის მიხედვითაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ გააჩნიათ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებს, აგრეთვე პირებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში).

აუცილებელია აღინიშნოს იმ პოზიტიური ცვლილებების შესახებ, რომლებიც 2002 წლის ცვლილებათა და დამატებათა მთლიანი პაკეტის შემადგენელი ნაწილია და რომელიც პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნისა თუ გამართვის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვისათვის დადგენილ ვადას შეეხო. კერძოდ, აღნიშნულ ცვლილებებამდე პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის ვადა იყო 30 დღე, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევებში 30 დღით აგრძელებდა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. პრაქტიკულად გამოდიოდა, რომ პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნისა თუ გამართვის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა შეიძლებოდა ორ თვეს გაგრძელებულიყო, რაც, ცხადია, აბსურდი იყო. ეს დებულება ხელს უწყობდა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების მანკიერი პრაქტიკის დანერგვას, რასაც, თავის მხრივ, საერთო სასამართლოთა სისტემაში საკმაოდ ღრმად ჰქონდა და, სამწუხაროდ, დღესაც აქვს ფესვები გადგმული. ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად კი დანესდა დიფერენცირებული და გარკვეულ შემთხვევებში საკმაოდ შემოკლებული ვადები. კერძოდ, პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15, ხოლო პრეზიდენტის არჩევნების გამართვის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული სარჩელის განხილვის ვადა 17 დღეს სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის დღიდან. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და, შესაბამისად, ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ კონტინენტური სამართლის ქვეყნების საკმაოდ დიდი ნაწილი საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსილებაში არ განიხილავს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლომ არჩევნებთან დაკავშირებული გადანყვეტილებანი უნდა განიხილოს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ასეთი საკითხის განხილვა ამ ორგანოს ყველაზე უფრო მიკერძოებულ პოლიტიკაში აბამს. განსაკუთრებული უგუნურება კი საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყნებში საკონსტიტუციო სასამართლოთა მიერ პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობის დამტკიცებაა. ამის ნათელი მაგალითია სომხეთში 1996 წელს ჩატარებული პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანის ხელახალი არჩევნები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის არჩევნების სფეროში საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს, როგორც ფაქტობრივად გამონაკლისს, უდიდესი უფლებამოსილება აქვს. 1958 წლის საფრანგეთის კონსტიტუციის საფუძველზე მთავრობა ვალდებულია, საკონსტიტუციო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობის შესახებ. ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს არა ერთჯერადად, არამედ სისტემატურად, არჩევნების მიმდინარეობის პარალელურად. საკონსტიტუციო საბჭო უფლებამოსილია, დანიშნოს რწმუნებული ან რწმუნებულები როგორც საერთო, ისე ადმინისტრაციული სასამართლო სისტემიდან, რომლებიც განახორციელებენ საარჩევნო კამპანიის მეთვალყურეობას. საბჭო უფლებამოსილია, შეამოწმოს პრეზიდენტის არჩევნებში წამოყენებული კანდიდატურების შესაბამისობა მათთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან. იგი ზედამხედველობას უწევს საარჩევნო პროცედურების სწორად ჩატარებას. საბჭო აგრეთვე უფლებამოსილია, ძალაში დატოვოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგები ან მთლიანად თუ ნაწილობრივ გააუქმოს იგი. ეს დამოკიდებულია დარღვევის ხარისხზე. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს საბჭო არჩევნების ჩატარებიდან 10 დღის ვადაში აცხადებს.

ზემოაღნიშნული 2002 წლის 12 თებერვლის ცვლილებათა პაკეტის დამტკიცებამდე, კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ღიად ტოვებდა იმ საკითხს, თუ რა ვადაში უნდა მომხდარიყო არჩევნების დანიშვნის ან გამართვის გასაჩივრება. ეს კი უამრავ

სტუდენტური ფორუმი

პრობლემას წარმოშობდა. ეს საკანონმდებლო ხარვეზი გამოსწორდა 2002 წლის 12 თებერვალს. განისაზღვრა, რომ კონსტიტუციური სარჩელი არჩევნების დანიშვნის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით შეიძლება შეტანილ იქნეს არჩევნების დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან ან საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონით დადგენილი დანიშვნის ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 7 დღისა. ხოლო არჩევნების გამართვის კონსტიტუციურობის თაობაზე სარჩელი შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში.

აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოება, რომ სახალხო დამცველს შეუძლია შეიტანოს სარჩელი მხოლოდ არჩევნების დანიშვნის კონსტიტუციურობის თაობაზე. იგი არის უფლებამოსილი სუბიექტი, კონსტიტუციური სარჩელი შეიტანოს საკონსტიტუციო სასამართლოში არჩევნების გამართვის კონსტიტუციურობის თაობაზე. არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება კი საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველად არ მიიღება. საქართველოს საარჩევნო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ და მასობრივ დარღვევებს სწორედ არჩევნების გამართვის პროცესში ვხვდებით. წლების განმავლობაში მოქმედებდა სტალინის ცნობილი გამონათქვამი: „მთავარია არა ის, ვინც ხმას აძლევს, არამედ ის, ვინც ამ ხმებს ითვლის“. სწორედ ამიტომ საკმაოდ დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, თუ სახალხო დამცველს მიენიჭება არჩევნების გამართვის კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლება.